აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 43

10 ოქტომბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

პარტიული სიისა და ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში წარდგენილი მაჟორიტარი კანდიდატების რეგისტრაციის შესახებ

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე" და ,,ვ" ქვეპუნქტების, 49-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 პუნქტებისა და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გატარდეს პოლიტიკური გაერთიანების ,,საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის" (სეკპ) პარტიული სია (გარდა პარტიული სიის რიგით №16 ტაკიძე გივი, №20 ბერიძე ოთარ, №21 შაინიძე შალვა, №23 თედორაძე ზურაბ) და ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში წარდგენილი შემდეგი მაჟორიტარი კანდიდატები:

№79 ბათუმის საარჩევნო ოლქში – სამნიძე თეიმურაზი;
№81 ქობულეთის საარჩევნო ოლქში – დავითაძე ლევანი;
№82 შუახევის საარჩევნო ოლქში – დავითაძე ლევანი;
№83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში – სურმანიძე მერაბი;
№84 ხულოს საარჩევნო ოლქში – ანანიძე ამირანი.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე